ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

34(05)
L-29.

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივნისის 16. № 13 ცხვილისი

შინაარსი

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

126. დამცველთა კოლეგიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

1548

დებულება დამცველთა კოლეგიების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

126. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

დამცველთა კოლეგიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება დამცველთა კოლეგიების შესახებ.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 13-ის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 89) გაუქმებულ იქნეს.

3. საქართველოს სსრ უზუნაეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის უმაღლეს სასამართლოსთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოსთან ამ ჟამად მომქმედი დამცველთა კოლეგიები დაშლილ იქნენ.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს ამ კომისარიატთან დამცველთა კოლეგია ამა დადგენილებით დამტკიცებული ახალი დებულების საფუძველზე და განსაზღვროს სპეციალური ინსტრუქციით დასაშლელი დამცველთა კოლეგიისა და მასთან მოწყობილი კოლექტივების მოქმედების მოსპობის ვადა და წესი, აგრეთვე დამცველთა კოლეგიის ახალი შედგენილობის მოგროვებისა და დამცველთა კოლექტივების მოწყობის ვადა და წესი.

5. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—რეორგანიზებულჰყონ ახალი დებულების საფუძველზე ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე დამცველთა კოლეგიები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამცველთა კოლეგიების შესახებ.

1. მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად და სასამართლოში დაცვის ამოცანების შესასრულებლად, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათათვის იურიდიული კონსულტაციით მომსახურეობის გასაწევად მოქმედობენ დამცველთა კოლეგიები.

2. დამცველთა კოლეგიები ექვემდებარებიან უშუალოდ საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ამ ოლქის მთავარ სასამართლოს, კუთვნილებისამებრ, და არსებობენ სათანადო უზენაეს, უმაღლეს და მთავარ სასამართლოებთან.

3. დამცველთა კოლეგიის წევრად შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, რომელსაც, თანახმად საქართველოს სსრ ძირითადი კანონისა (კონსტიტუციის) და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციისა საბჭოების არჩევნების შესახებ, აქვს საარჩევნო უფლება, უკეთუ:

ა) მან მიიღო დამთავრებული იურიდიული განათლება საქართველოს სსრ-ისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებელში;

ბ) ან გაიარა მუშათა და კოლმეურნეთა აქტივიდან გამოსულთაგან დამცველთა კოლეგიის წევრების კვალიფიციური კადრების მომზადებელი სპეციალური კურსები;

გ) ან მას აქვს ხუთი წლის სტაჟი საბჭოთა იუსტიციის ორგანოებში მუშაობისა გამომძიებლისაზე არა დაბალ თანამდებობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ან ეჭირა არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი წლის განმავლობაში იურისკონსულტის თანამდებობა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ან და იგი ირიცხებოდა იმავე ვადის განმავლობაში დამცველთა კოლეგიის წევრად.

შენიშვნა. დამცველთა კოლეგიის წევრად მიღების დროს, ამ კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლიან, როდესაც კანდიდატი შეეფერება ამა მუხლში აღნიშნულ პირობებს, მოითხოვოს მისაღები პირის გამოცდა, რათა გამორკვეულ იქნეს მისი სპეციალური მომზადება საბჭოთა დამცველის მოვალეობის აღსრულებისათვის. ასეთი გამოცდა მოხდება განსაკუთრებულ კომისიაში, რომელიც მოეწყობა იმ ორგანოსთან, ვის უშუალო ქვემდებარეობაშიაც კოლეგია იმყოფება (მუხ. 2); კომისიის შედგენილობაში შევლენ სასამართლოს, პროკურატურის და დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის წარმომადგენელნი.

4. დამცველთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება იყოს:

ა) ის პირი, ვინც სახელის შემბღალავი საქციელისა და ყოფაქცევისათვის გამორიცხულია საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან;

ბ) ის პირი, ვინც სადისციპლინო წესით გამორიცხულია დამცველთა კოლეგიიდან;

გ) ის პირი, ვინც მოხსნილია სამსახურიდან სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში „სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის წმენდის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 1-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის წესისამებრ (სსრკ კან. კრ 1929 წ. 35 №-ი, მუხ. 313);

დ) ის პირი, ვისაც მსჯავრი დაედო ან ვინც მიცემულია სამართალში თუ გამოძიებაში ანგარებითი და სახელის შემბღალავი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისათვის.

5. დამცველთა კოლეგიაში წევრებს მიიღებს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

6. დამცველთა კოლეგიაში ამა თუ მი პირის მიღებას დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი აცნობებს დაუყოვნებლივ საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დამცველთა კოლეგიაში შემავალი პირის მიერ არჩეული მოქმედების ადგილის მიხედვით.

სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს აქვს დამცველთა კოლეგიის წევრად მიღებული პირის გადგინების უფლება ერთი თვის განმავლობაში დღიდან ზემოაღნიშნული ცნობის მიღებისა.

7. დამცველთა კოლეგიის წევრად მიღებულ პირს ამტკიცებს ამ წოდებაში ის ორგანო, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც კოლეგია იმყოფება (მუხ. 2). ამავე ორგანოს აქვს აგრეთვე უფლება, როდესაც საჭიროდ დაინახავს, უკან გაიწვიოს დამცველთა კოლეგიის წევრი.

8. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის უარი კოლეგიის წევრად მიღებაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს, ათი დღის განმავლობაში უარის შესახები ცნობის მიღების დღიდან, იმ ორგანოში, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც კოლეგია იმყოფება (მუხ. 2); ამ ორგანოს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის გამო საბოლოოა და არ განისაჩივრება.

შენიშვნა. უარი დამცველთა კოლეგიის წევრად მიღებაზე ამა დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო არ განისაჩივრება.

9. იმის მიხედვით, თუ რამდენად სჭირდება მოსახლეობას იურიდიული დახმარება, იმ ორგანოს, რომლის უშუალო გამგებლობაშიაც დამცველთა კოლეგია იმყოფება (მუხ. 2.), უფლება აქვს დააწესოს დამცველთა კოლეგიის წევრების ზღვრული რიცხვი ამა თუ იმ ადგილისათვის

10. დამცველთა კოლეგიის წევრს არ შეუძლიან რაიმე თანამდებობის დაჭერა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

ამ წესის გამონაკლისი შეიძლება:

ა) იმ პირისათვის, ვისაც თანამდებობა არჩევით უჭირავს;

ბ) იურიდიული და ეკონომიური მეცნიერების პროფესორისა, დოცენტისა, ასისტენტისა და მასწავლებლისათვის;

გ) იურისკონსულტისა და კონსულტანტისათვის.

შენიშვნა. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, სახალხო კომისართა საბჭოსთან, სახელმწიფო არბიტრაჟთან, იუსტიციის ორგანოებთან, საქალაქო საბჭოებთან, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან და პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციებთან განწესებულ იურისკონსულტს და კონსულტანტს არ შეუძლიან ეს თავისი თანამდებობა შეუთავსოს დამცველთა კოლეგიის ნევრის მუშაობას.

11. დამცველთა კოლეგიის მმართველობის ორგანოები არიან:

ა) დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრება და

ბ) დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

12. დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) აირჩიოს კოლეგიის პრეზიდიუმი;

ბ) განიხილოს საერთო საკითხები, რაც ეხება დაცვის მოწყობას, დამცველთა კოლექტივებისა და კოლეგიის ცალკეული წევრების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას—მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევისა და სასამართლოში დაცვის ამოცანების სფეროში;

გ) დაამყაროს დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების საქმიანობის საერთო გეგმა;

დ) განსაზღვროს დამცველთა კოლეგიის ფონდში შესატანი დამცველთა კოლექტივის შემოსავლის ანარიცხებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების სავალდებულო გადასახადის რაოდენობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მოისმინოს და დაამტკიცოს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და დამცველთა კოლექტივების ანგარიშები.

13. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მიიღოს დამცველთა კოლეგიის ახალი წევრები ამა დებულების მე-5—7 მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ და განიხილოს განცხადებები კოლეგიიდან გასვლის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს იმ ორგანოს მიერ, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც კოლეგია იმყოფება (მუხ. 2.), დასამტკიცებელი წესები და ინსტრუქციები, რითაც რეგულირდება დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების საქმიანობა;

გ) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს დამცველთა კოლექტივებსა და დამცველთა კოლეგიის წევრების საქმიანობას;

დ) მოაწყოს დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების მეშვეობით მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევის საქმე და აგრეთვე დაუნიშნოს ხოლმე მშრომელთ უსასყიდლო და სასყიდლიანი დაცვა სასამართლოში;

ე) განიხილოს სადისციპლინო წესით დამცველთა კოლეგიის წევრების მიერ მათი პროფესიონალური მოვალეობის დარღვევის საქმეები;

ვ) განაგოს და განკარგოს დამცველთა კოლეგიის ქონება და ფულადი თანხები;

ზ) დაამტკიცოს და უკან გაიწვიოს დამცველთა კოლექტივების გამგეობის წევრნი და ხელმძღვანელნი (მუხ. 19);

თ) იხმაროს ღონისძიებანი დამცველთა კოლეგიის წევრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ი) მოაწესრიგოს ძალთა განაწილება ისე, რომ კოლექტივები უზრუნველყოფილ იქნენ სამართლის ცალკეულ დარგებში კვალიფიცირებული და მომზადებული დამცველთა კოლეგიის წევრებით.

14. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს დაადვას დამცველთა კოლეგიის წევრს დადგენილი წესებისა და პროფესიონალური მოვალეობის დარღვევისათვის, წინასწარ მისგან განმარტების მოთხოვნით, შემდეგი სადისციპლინო გადასახდელი:

ა) გაფრთხილება,

ბ) საყვედური,

გ) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 100 მანეთისა,

დ) პროფესიონალური საქმიანობის აკრძალვა არა უმეტეს, ვიდრე ერთი წლის ვადით, და

ე) დამცველთა კოლეგიიდან გამორიცხვა.

ამა მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული სადისციპლინო გადასახდელი დამტკიცებულ უნდა იქნეს იმ ორგანოს მიერ, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც დამცველთა კოლეგია იმყოფება (მუხ. 2).

15. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ამოცანებს დამცველთა კოლეგიის წევრნი ანხორციელებენ დამცველთა კოლექტივების მეშვეობით ან ინდივიდუალურად.

16. დამცველთა კოლექტივები მოეწყობიან ნებაყოფლობის საფუძველზე ქალაქებსა და ქალაქ-გარე ადგილებში (სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობის რაიონში) დამცველთა კოლეგიის იმ წევრებისაგან, ვინც ამა თუ იმ ადგილას ანხორციელებს დამცველთა კოლეგიის წევრის საქმიანობას. კოლექტივი შეიძლება მოეწყოს არა ნაკლებ, ვიდრე დამცველთა კოლეგიის სამი წევრისაგან.

17. დამცველთა კოლექტივი მისთვის დაკისრებულ ამოცანებს ანხორციელებს ყველა თავისი წევრის პირადი შრომით. დამცველთა კოლექტივში მუშაობა სწარმოებს როგორც კოლექტიურად, ისე ამ მუშაობის ცალკეულ წევრთა შორის განაწილებით.

18. კოლექტივის წევრთ შრომის სასყიდელი ეძლევათ კოლექტივის შემოსავლიდან,—საორგანიზაციო ხარჯებისა და წესდების თანახმად სპეციალურ ფონდებში გადასადები სავალდებულო ანარიცხების გამოკლებით,—კოლექტივის წევრთა კვალიფიკაციისა და შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და თვისების შესაბამისად.

შრომის სასყიდლის სისტემას შეიმუშავებს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი, შეუთანხმებს-რა სათანადო პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობას, და დაამტკიცებს ის ორგანო, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც დამცველთა კოლეგია იმყოფება (მუხ. 2).

19. დამცველთა კოლექტივის მმართველობის ორგანოები არიან: კოლექტივის წევრთა საერთო კრება და კოლექტივის გამგეობა, ხოლო კონტროლის ორგანო—სარევიზიო კომისია.

შენიშვნა. უკეთუ დამცველთა კოლექტივი მცირერიცხოვანია, გამგეობის ფუნქციებს ასრულებს კოლექტივის ხელმძღვანელი, ხოლო სარევიზიო კომისიის ფუნქციებს—კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

20. დამცველთა კოლექტივი მოქმედობს წესდების თანახმად; წესდებას ამტკიცებს ის ორგანო, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც დამცველთა კოლეგია იმყოფება (მუხ. 2); კოლექტივისათვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფარგლებში მას აქვს იურიდიული პირის უფლებანი.

21. დამცველთა კოლექტივი ლიკვიდირებულ უნდა იქნეს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მის შედგენილობაში არ იქნება ამა დებულების მე-16 მუხლით განსაზღვრული წევრთა რიცხვი.

22. უკეთუ დამცველთა კოლექტივი დაარღვევს კანონს, ამა დებულებას ან თავის წესდებას, აგრეთვე, უკეთუ თავისი მოქმედებით გადაუხვევს კოლექტივის მიზნებს და ამოცანებს, ყველა ამაში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ შეიძლება აღძრულ იქნეს დევნა სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ შემთხვევებში დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი იხმარს ღონისძიებას, რათა აღდგენილ იქნეს კოლექტივის წესიერი მოქმედება; ამ მიზნით დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს, თავისი ინციატივით ან იმ ორგანოს წინადადებით, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც იგი იმყოფება, შეუძლიან დანიშნოს კოლექტივის გამგეობის ვადამდე არჩევა, დაუყოვნებლივ გადააყენოს გამგეობის მთელი შედგენილობა ან ცალკეული წევრები მოვალეობის აღსრულებისაგან და დანიშნოს კოლექტივის დროებითი ხელმძღვანელი დამცველთა კოლეგიის წევრთაგან.

23. დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების მოვალეობას შეადგენს:

ა) უსასყიდლოდ დაცვა სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო ორგანოების წინადადებით და დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის დანიშვნით;

ბ) უსასყიდლოდ საკონსულტაციო იურიდიული დახმარების გაწევა ხელმოკლე მშრომელი მოსახლეობისათვის, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული წესით.

24. შრომის სასყიდელი ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესების დაცვისათვის სასამართლო დაწესებულებებში გაიღება შემდეგ საფუძვლებზე:

ა) ის, ვინც სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ხელმოკლე პირად იქნება ცნობილი, სრულიად განთავისუფლდება მისი ინტერესების დაცვისათვის სისხლის ან სამოქალაქო საქმეზე გასამრჯელოს გაღებისაგან;

ბ) მუშას, მოსამსახურეს, აგრეთვე ისეთ გლეხს და შინამრეწველს, ვინც დაქირავებულ შრომას არ იყენებს, შეუძლიან სასყიდელი მისი იურიდიული ინტერესების დაცვისათვის გაიღოს იმ ორგანოს მიერ დადგენილი ნიხრით, რომლის უშუალო ქვემდებარეობაშიაც დამცველთა კოლეგია იმყოფება (მუხ. 2);

გ) ის, ვისაც დამცველი დაენიშნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნისამებრ და ვინც ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტში გათვალისწინებულ კატეგორიათ არ ეკუთვნის, გასამრჯელოს იხდის „გ“ პუნქტში აღნიშნული ორგანოს მიერ განსაზღვრული ნიხრით;

დ) იურიდიული პირნი და აგრეთვე ფიზიკური პირნი, რომელნიც ამა მუხლის წინა პუნქტში აღნიშნული არ არიან, მათი იურიდიული ინტერესების დაცვისათვის გასამრჯელოს იხდიან დამცველთა კოლექტივის გამგეობასთან ან დამცველთა კოლეგიის ინდივიდუალურად მომუშავე წევრთან შეთანხმებით.

25. დამცველთა კოლექტივებს და დამცველთა კოლეგიის ინდივიდუალურად მომუშავე წევრებს მათ მიერ მიღებულ გასამრჯელოდან შეაქვთ პროცენტული ანარიცხები დამცველთა კოლეგიის ფონდში. ეს ფონდი ხმარდება დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის შენახვას და საორგანიზაციო ხარჯებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 25. პ/მ რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1/2 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 2/VII, ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI. ტირაჟი 2.200.

მთავლიტი ს.—№ 44 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 895